



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი უმაღლესი საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის
დასახელება.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების
სახელწოდება

შეფასების თარიღი -
2019 წლის 8 ივლისი

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი

2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
უსდ-ს საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის დასახელება	მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციები
განათლების საფეხური	სამაგისტრო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	მედიაფსიქოლოგიის მაგისტრი (?)
სწავლების ენა	ინგლისურენოვანი
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დევიდ დუენას-სიდი, ტალინის ტექნოლოგიის უნივერსიტეტი/ ესტონეთი და კოზმინსკის უნივერსიტეტი/პოლონეთი
წევრი (სახელი და გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ვლადიმერ მკერვალიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი და გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ლია სანიკიძე თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი (თთუ)
წევრი (სახელი და გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თინათინ გვაძაბია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

შეფასებული სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია მედიაფსიქოლოგიასა და კომუნიკაციებზე პროგრამა ჯერ არ ხორციელდება, ამგვარად იგი ახალი შინაარსის მატარებელი იქნება, როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის, ასევე მთელი საქართველოსთვის. პროგრამა მოიცავს თემასთან დაკავშირებულ ინტერესთა სხვადასხვა სფეროს და შეესაბამება ქვეყნის ბაზრისა და განათლების საჭიროებებს, ასევე კვლევისა და განათლების გლობალურ ტენდენციებს.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ადგილზე ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 8 აგვისტოს.. ვიზიტი ხანგრძლივი და შრომატევადი გამოდგა. აკრედიტაციის ჯგუფმა რამდენიმე შეხვედრა გამართა სამაგისტრო საბჭოს წევრებთან და საგანმანათლებლო საზოგადოებისა და დაწესებულების სხვა შესაბამის წევრებთან, მათ შორის პროფესორებთან, რომლებიც Skype- ის საშუალებით ჩაერთნენ საზღვარგარეთიდან. აკრედიტაციის გუნდს საკმარისი დრო ჰქონდა საჭირო ინფორმაციის მისაღებად და საჭირო შეკითხვების დასასმელად გარკვეული მოსაზრების ჩამოყალიბების მიზნით. ვიზიტისთვის საჭირო რესურსები დამაკმაყოფილებლად იქნა უზრუნველყოფილი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

შემოთავაზებული პროგრამა მოიცავს კვლევის ახალ დარგს, რომელიც შესაბამისობაშია საერთაშორისო კვლევის ტენდენციებთან და ადგილობრივი ბაზრის საჭიროებებთან. პროგრამა ხელს შეუწყობს ამ ხარვეზის შევსებას და ახალი პროფესიონალების მომზადებას, რომლებიც შემდეგენ არსებული ვითარების გაუმჯობესებას.

პროგრამა ინტერდისციპლინურია და მოიცავს უცხოელ და პრაქტიკოს ექსპერტებს, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ ადგილობრივი აკადემიური ექსპერტების მიერ უზრუნველყოფილი მასშტაბის გაფართოებას. უნივერსიტეტს გააჩნია პირობები, რათა პროგრამა შეთავაზოს დაინტერესებულ პირებს პრობლემის გარეშე. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები მართებულია და მიღწევადი სამაგისტრო ხარისხით.

სილაბუსები ადეკვატური და თანამედროვეა, პროგრამა მოიცავს კონკრეტულ შეთავაზებებს საერთაშორისო სტუდენტებისათვის, ასევე შესაძლებლობებს პრაქტიკული განვითარებისათვის.

პროგრამის სახელწოდება ოდნავ დამაბნეველია, რადგან ერთ დონეზე აყენებს „მედიაფსიქოლოგიას“ და „კომუნიკაციას“, თუმცა შინაარსი უფრო მედიაფსიქოლოგიაზეა ორიენტირებული. საჭიროა მეტი შინაარსის შეთავაზება კომუნიკაციასთან დაკავშირებით (ან სავალდებულო კურსი „კომუნიკაციის საფუძვლები“, ან არჩევითი კურსები კვლევის ამ კონკრეტული სფეროს გარკვეული ასპექტებისთვის- მაგალითად- მრავალფეროვანი ჯგუფები და უმცირესობები) ასევე, პროგრამა გვთავაზობს კურსებს კვლევის მეთოდებზე (რაოდენობრივი და ხარისხობრივი), რაც ურთიერთკავშირში უნდა იყოს, რათა უზრუნველყოფილ იქნას სწორი აღქმა, თუ როგორ უნდა ინტეგრირდეს ორივე მეთოდი კვლევაში, და არ იყოს წარმოდგენილი იზოლირებულად.

აკრედიტაციის ჯგუფი თანხმდება, რომ შეფასებული პროგრამა აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რაც საჭიროა მისი განხორციელებისთვის.

რეკომენდაციები

- ჩვენი რეკომენდაცია პროგრამას დაემატოს სავალდებულო კურსი- კომუნიკაციის, მედიის საფუძვლები (ან მსგავსი კურსი).
- ჩვენი რეკომენდაციაა კავშირის გაძლიერება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მეთოდებს შორის ორივე ტიპის კვლევის გააზრების ხელშეწყობის მიზნით მედიის გავლენის გასაცნობიერებლად ადამიანის ქცევაში.

- პროგრამის გარე შეფასება უნდა განახორციელოს დამოუკიდებელმა ორგანომ, თსუ-ს გარეთ, დასკვნების დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად.

რჩევები

- გადასინჯეთ პროგრამის სახელწოდება
- შეიტანეთ მრავალფეროვან ჯგუფებთან და უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხები პროგრამაში.
- შეიტანეთ პროგრამაში მეტი შინაარსი კომუნიკაციასთან დაკავშირებით, კერძოდ, ეს შეეხება ციფრულ კომუნიკაციას.
- იფიქრეთ სავალდებულო კურსების რაოდენობის გაზრდაზე კომუნიკაციასთან დაკავშირებული შინაარსით.
- გადასინჯეთ სავალდებულო და არჩევითი კურსების გადანაწილება;
- დაწერეთ მექანიზმები თავისუფალი კრედიტების თავიდან ასაცილებლად კურსებისთვის, რომლებიც არ არიან პროგრამასთან დაკავშირებული.
- იფიქრეთ ენის კურსების განსხვავებულ ადგილზე (თავისუფალი კრედიტები, სხვა სამაგისტრო პროგრამასთან ერთად) და ჩაანაცვლეთ არჩევითი კურსების ჩამონათვალიდან იმ კურსით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული სამაგისტრო პროგრამასთან)
- გადახედეთ ზოგიერთი კონკრეტული კურსის შინაარსს ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
- უზრუნველყავით კავშირი კურსებსა და ლექციებს შორის, რათა თავიდან აიცილოთ გადაფარვა და ერთმანეთს დაუკავშიროთ მათი შინაარსი.
- გადახედეთ კურსს „მულტიმედია (პრაქტიკული) მედიაფსიქოლოგიებისთვის (ქართულ ენაზე)“
- მომავალი წლის ბიუჯეტში უნდა გამოიყოს სახსრები კონკურენტული ანაზღაურებისთვის საერთაშორისო მოწვეული პროფესორებისთვის, პერსონალისა და საერთაშორისო ექსპერტების სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით.
- პროგრამის შეფასების მექანიზმი უნდა იყოს ნათელი და გამჭვირვალე და აუცილებლად უნდა ყავდეს ხელმომწერი ავტორი.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- საერთაშორისო ლექტორების ჩართვა და მათი საერთაშორისო აქტუალობა და შინაარსი მაგისტრატურის აშკარად ძლიერი მხარეა.
- გათვალისწინებულია საერთაშორისო აღიარებული სტანდარტები და პროცედურები, ასევე შიდასაუნივერსიტეტო შეფასების წესები და ინდიკატორები.

განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამით მკაფიოდაა განსაზღვრული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურად არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება რეგულარულად.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები განსაზღვრავენ იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელთა განვითარებასაც ისახავს მიზნად პროგრამა კურსდამთავრებულებში. ისინი აგრეთვე ახდენენ დარგისა და საზოგადოების სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი - პროგრამის მიზნები ადეკვატურია და შეესაბამება დაწესებულების მისიას და პასუხობს საქართველოს მედია გარემოს საჭიროებებს. ისინი, ასევე, შეესაბამება ვიზიტის დროს გაკეთებულ ახსნა-განმარტებას. - პროგრამა კარგად არის ფორმულირებული საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების გათვალისწინებით. პროგრამის ხელმძღვანელებმა სრულად და სწორი ფორმით მოგვაწოდეს ყველა მოთხოვნილი ინფორმაცია. - ისინი პასუხობენ კვლევის ბაზარზე და სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუების შემდეგ გამოვლენილ საჭიროებებს და ასევე თანხვედრაში არიან ამ დარგისთვის დამახასიათებელ გლობალური კვლევის ტენდენციებთან. შინაარსი მოიცავს დარგის საერთაშორისო პერსპექტივებს და მოწვეული არიან დარგის საერთაშორისოდ აღიარებული პროფესორები რამდენიმე კურსის წასაკითხად. - პროგრამაში ჩართული არიან სხვადასხვა სფეროსა და დისციპლინის ლექტორები, ასევე აკადემიური და პრაქტიკოსი პერსონალი. შედეგად, პროგრამა მულტიდისციპლინურია და ხელს უწყობს ინტერაქციას აკადემიურ და არა-აკადემიურ სექტორებს შორის. - პროგრამის სახელწოდება ოდნავ დამაბნეველია, რადგან ერთ დონეზე აყენებს 1) „მედიაფსიქოლოგიას“ და 2) „კომუნიკაციას“, თუმცა შინაარსი უფრო მედიაფსიქოლოგიაზე ორიენტირებული. პროგრამის მიზანია, მოიზიდოს

მტკიცებულებები/ინდიკატორები მოწოდებული დოკუმენტები (საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამის მიზნები, აღზრდის სილაბუსები), დიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია
რეკომენდაციები: რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: გადახედეთ პროგრამის დასახელებას.
საუკეთესო პრაქტიკა (ასე არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული შეფასება: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები
პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან, დარგისა და ქვეყნის თავისებურებებთან. ○ შერჩეული საგნები უზრუნველყოფენ პროგრამის მიზნებისა და კომპეტენციების მიღწევას. ○ პროგრამა გვთავაზობს სავალდებულო და არჩევითი საგნებისა და თავისუფალი კრედიტების მრავალფეროვან არჩევანს სხვადასხვა სწავლების მეთოდებით. ○ პროგრამა მოიცავს მედიაფსიქოლოგიის უმთავრეს მნიშვნელოვან ელემენტებს და ზოგიერთ ტენდენციას კვლევის სფეროში (მაგ: ბავშვები და მედია, მედია გარემო და

მაშინ უზრუნველყოფილი უნდა იქნას ამ საკითხების გავლა სხვა კურსებზე.

- არჩევითი საგნების ჩამონათვალი მრავალფეროვანია და მოიცავს პროგრამის სხვადასხვა შესაბამის თემებს, რაც ხელს უწყობს მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. ციფრულ კომუნიკაციასთან დაკავშირებული თემების გამრავალფეროვნება ნამდვილად გააუმჯობესებდა შინაარსს.
- სწავლის შედეგები ეფუძნება ჩატარებულ კვლევას, დაინტერესებული მხარეების და მტკიცებულებები/ინდიკატორები
- წარმოდგენილი დოკუმენტები (საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამის მიზნები, პროგრამის სტრუქტურა, თვით-შეფასების ანგარიში)
- ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია (გასაუბრებები, წარმოდგენილი რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- შეიტანეთ მრავალფეროვან ჯგუფებთან და უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხები პროგრამაში.
- შეიტანეთ პროგრამაში მეტი შინაარსი კომუნიკაციასთან დაკავშირებით, კერძოდ,

საუკეთესო პრაქტიკა (ასე არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი	x			

--	--	--	--	--

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უმაღლესი განათლების დაწესებულებას გააჩნია პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი • პროგრამაზე მიღების პროცედურები შეესაბამება ქართული კანონმდებლობის მოთხოვნებს. • აუცილებელი მოთხოვნაა ინგლისური ენის ცოდნა. • პროგრამა გულისხმობს სტუდენტებთან გასაუბრებას მათი შესაბამისობას დადგენის მიზნით. აკრედიტაციის პროგრამას მიაჩნია, რომ ეს კარგი მექანიზმია სტუდენტების შესარჩევად და ამასთანავე იმის დასადგენად, გააჩნია თუ არა სტუდენტს შესაბამისი ცოდნა პროგრამის დასაძლევად. ვინაიდან პროგრამა არ გვთავაზობს „კომუნიკაციის საფუძვლებს“, გასაუბრება შესაძლოა საჭირო მტკიცებულებები/ინდიკატორები ◦ წარმოდგენილი დოკუმენტები (საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამის მიზნები, პროგრამის სტრუქტურა, თვითშეფასების ანგარიში) რეკომენდაციები: რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ს განათლების პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს

პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამა მოიცავს კვლევის სფეროს ძირითად ელემენტებს. ისინი შერჩეულია პროგრამის მიზნებისა და ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.
- სავალდებულო და არჩევითი საგნების შერჩევის კრიტერიუმები გაუგებარია. სავალდებულო საგნებში შეთავაზებულია 4 მეთოდოლოგიური საგანი (კვლევის მეთოდები მედიაფსიქოლოგიასა და კომუნიკაციაში, მეთოდოლოგიური მიდგომები მედიაფსიქოლოგიაში და კვლევის დიზაინი, გამოყენებითი სტატისტიკის შესავალი R-ის გამოყენებით (ვერ მივხვდი რა არის) და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები): თანამედროვე მიდგომები R- ის გამოყენებით, + 1 საგანი აკადემიურ წერაში. პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ 3 თეორიულ საგანს (მედიაფსიქოლოგიის თეორიები და ისტორია, სოციალური მედიის გამოყენების ეფექტები და ინფორმაციული ომი და უსაფრთხოება). თეორიული საგნები მოიცავენ მედიაფსიქოლოგიის საფუძვლების კურსს, მაგრამ კომუნიკაციის საფუძვლები არ ისწავლება, რაც არ შეესაბამება მაგისტრის ხარისხს. შერჩეული საგნების ჩამონათვალი უპირატესობას ანიჭებს უფრო კვლევის კომპეტენციების, ვიდრე პრაქტიკოსისთვის აუცილებელი კომპეტენციების ათვისებას.
- კრედიტების გადანაწილება სავალდებულო და არჩევით საგნებს შორის არათანაბარია (დაუბალანსებელია) უფრო მეტია არჩევითი, ვიდრე სავალდებულო კრედიტები (საუბარია მხოლოდ საგნებზე, სამაგისტრო ნაშრომის გამოკლებით)
- პროგრამა მოიცავს თავისუფალ კრედიტებს, თავაზობს რა სტუდენტებს ისეთი საგნების არჩევას, რომლებიც არ შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და სწავლის

მტკიცებულებები/ინდიკატორები ◦ წარმოდგენილი დოკუმენტები (საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამის მიზნები, პროგრამის სტრუქტურა, თვითშეფასების ანგარიში, სილაბუსები)
რეკომენდაციები: რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ◦ იფიქრეთ სავალდებულო კურსების რაოდენობის გაზრდაზე კომუნიკაციასთან დაკავშირებული შინაარსით. გადასინჯეთ სავალდებულო და არჩევითი კურსების
იფიქრეთ ენის კურსების განსხვავებულ ადგილზე (თავისუფალი კრედიტები, სხვა სამაგისტრო პროგრამასთან ერთად) და ჩაანაცვლეთ არჩევითი კურსების ჩამონათვალიდან იმ კურსით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული სამაგისტრო
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული შეფასება: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.3 კურსი ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- არავითარი ეჭვი არ არსებობს, რომ სავალდებულო საგნები მოიცავენ პროგრამის მიზნების უპირატეს ნაწილს. შეთავაზებული კურსი ხელს შეუწყობს ინფორმირებულობის ამაღლებას, განავითარებს კვლევის უნარებს და ხელს შეუწყობს დარგის შესახებ განახლებული ცოდნის გავრცელებას.
- პროგრამა და საგნების გადანაწილება განსაკუთრებით ძლიერია კვლევის მეთოდოლოგიაში (ხარისხობრივი და რაოდენობრივი) და მოიცავს სავალდებულო კრედიტების 50% (სამაგისტრო ნაშრომის გარდა). თუ დავამატებთ საგანს „აკადემიური წერა მედია ფსიქოლოგებისთვის“ (5 კრედიტი), კვლევის უნარების მნიშვნელოვნება უფრო გაიზრდება.
- რეზერვები გამოხატულია შემოთავაზებული შინაარსის თეორიულ წარმოშობასთან დაკავშირებით. არ მესმის სტუდენტებმა უნდა შეძლონ „მედიაფსიქოლოგიის ძირითადი შინაარსის, თეორიებისა და კვლევის პარადიგმების დადგენა (პრინციპები და მეთოდები)" , თუმცა ეს კონცეპციები, ზოგადად, ისწავლება კურსებით, რომლებსაც ფსიქოლოგიის საგანი აქვთ ბაზისად და უფრო მედიისა და კომუნიკაციის სფეროს მიეკუთვნებიან. ეს უნარი შესაძლოა წარმატებით იქნას ათვისებული

	○ სილაბუსებში გამოყენებული მასალები თანამედროვეა და შეესაბამება პროგრამის მიზნებს. საკითხავი მასალა მოიცავს დარგის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს და შეესაბამება საერთაშორისო ტენდენციებს. ○ რაც შეეხება ზოგიერთი კონკრეტული საგნის ელემენტებს, არ ვიცით, როგორ დაეხმარება ავტობიოგრაფიის (CV) წერის შესწავლა („აკადემიური წერა მედიაფსიქოლოგებისთვის“) საგნის მიზნების მიღწევას. ავტობიოგრაფიის ჩამოყალიბების სწავლა შესაძლოა მნიშვნელოვანი უნარია შრომის ბაზრისთვის, მაგრამ ეს, ცოტა არ იყოს, არალევანტურია მაგისტრის პროფესიული სპეციალიზაციისათვის. ○ საერთაშორისო ლექტორების მიერ შეთავაზებული საგნები უმაღლესი ხარისხისაა. ○ სავალდებულო საგნები მეთოდოლოგიის შესახებ („მეთოდოლოგიური მიდგომები მედიაფსიქოლოგიასა და კვლევის დიზაინში“ და „კვლევის მეთოდები მედიაფსიქოლოგიასა და კომუნიკაციაში“) არ უნდა იყოს ფოკუსირებული მხოლოდ ხარისხობრივი კვლევის მიდგომებზე, არამედ აძლევდეს სტუდენტებს საშუალებას დააკავშირონ კვლევის რაოდენობრივი მეთოდები („რაოდენობრივი კვლევის მეთოდები: თანამედროვე მეთოდები R-ის გამოყენებით და „სტატისტიკის შესავალი R-ის გამოყენებით“) ნახსენებია მხოლოდ ერთი შერეული მეთოდოლოგიური მიდგომა, ხოლო დანარჩენი შინაარსი ხარისხობრივ მიდგომებს ეხება. ○ ზოგიერთი საგანი ლოგიკურად ძალიან დაკავშირებული თემასთან. ლექტორებმა და პროგრამის კოორდინატორებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არ მოხდეს შინაარსობრივი გადაფარვა. ○ არ არის დასაბუთებული საგნის „მულტიმედია (პრაქტიკული) მედია ფსიქოლოგებისთვის (ქართულ ენაზე)“ საჭიროება, როგორც ის არის წარმოდგენილი. ვიზიტის დროს, კურსი აგვიწერეს, როგორც მედიაფსიქოლოგიის პრაქტიკულ განვითარებასთან დაკავშირებული, რაც უნდა გამოქვეყნდეს ჟურნალში.
	მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ წარმოდგენილი დოკუმენტები (საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამის მიზნები, პროგრამის სტრუქტურა, თვითშეფასების ანგარიში, სილაბუსები) ○ ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია (გასაუბრებები, წარმოდგენილი

რეკომენდაციები:

ჩვენი რეკომენდაცია პროგრამას დაემატოს სავალდებულო კურსი- კომუნიკაციის, მედიის საფუძვლები (ან მსგავსი კურსი). ჩვენი რეკომენდაციაა კავშირის გაძლიერება რაოდენობრივ და ხარისხობრივ მეთოდებს შორის ორივე ტიპის კვლევის გააზრების

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

გადახედეთ ზოგიერთი კონკრეტული კურსის შინაარსს ხარისხის გაუმჯობესების

○ უზრუნველყავით კავშირი კურსებსა და ლექციებს შორის, რათა თავიდან აიცილოთ გადაფარვა და ერთმანეთს დაუკავშიროთ მათი შინაარსი. ○ გადახედეთ კურსს „მულტიმედია (პრაქტიკული) მედიაფსიქოლოგიისთვის“
საუკეთესო პრაქტიკა (ასე არსებობის შემთხვევაში): საერთაშორისო ლექტორების ჩართვა და მათი საერთაშორისო აქტუალობა და შინაარსი
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და
პროგრამა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შესაბამისად სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ ჩართვას კვლევით პროექტებში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს კარგ შესაძლებლობებს სხვა უნარების შესაძენად და ხელს უწყობს მათ დაკავშირებას გარეშე დაინტერესებულ მხარეებთან: სტაჟირებას,
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ წარმოდგენილი დოკუმენტები (საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამის მიზნები, პროგრამის სტრუქტურა, თვითშეფასების ანგარიში, სილაბუსები) ○ ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია (გასაუბრებები, წარმოდგენილი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (ასე არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული
შეფასება:

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი
მიმოხილვა და ანალიზი

- სხვადასხვა კურსებში შეთავაზებული სწავლების მეთოდები უზრუნველყოფენ პროგრამის შედეგების წარმატებულ მიღწევას.
- სილაბუსებში საკმარისად არის აღწერილი სწავლების მეთოდები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- წარმოდგენილი დოკუმენტები (საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამის მიზნები, პროგრამის სტრუქტურა, თვითშეფასების ანგარიში, სილაბუსები)
- ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია (გასაუბრებები, წარმოდგენილი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.6: სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. იგი გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ სილაბუსებში დეტალურად და ამომწურავად არის მოცემული სტუდენტთა შეფასების პროცესის აღწერა. ○ ზოგიერთი შეფასება ერთმანეთის მსგავსია, არ არის წარმოდგენილი
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ წარმოდგენილი დოკუმენტები (სილაბუსები) ○ ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაცია (გასაუბრებები, წარმოდგენილი დოკუმენტები)
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (ასე არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული შეფასება:
X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა

უსდ ქმნის სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს სტუდენტებისათვის რელევანტური მომსახურებების უზრუნველყოფით; პროგრამის პერსონალი უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებას აღნიშნული მომსახურებების შესახებ, ორგანიზებას უკეთებს სხვადასხვა ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში.

3.1. სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და მხარდაჭერას კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამა საშუალებას აძლევს სტუდენტებს მიიღონ კონსულტაციები. სტუდენტთა კონსულტირებას ახორციელებენ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი.
- სტუდენტები დახმარებას იღებენ შეთავაზებული კურსების თაობაზე, თუ როგორ გაიარონ სტაჟირება, ასევე თუ როგორ დაგეგმონ მომავალი კარიერა. სტუდენტები იღებენ კონსულტაციებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან.
- თსუ-ში ფუნქციონირებს „სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრი“, რომელიც მოწოდებულია დახმარება გაუწიოს სტუდენტებს მომავალი კარიერის დაგეგმვაში. ასევე, ფაკულტეტის სასწავლო პროცესის ორგანიზების სამსახური აწვდის ინფორმაციას სტუდენტებს სასწავლო პროცესისა და საორგანიზაციო საკითხების შესახებ.
- სტუდენტებს შეუძლიათ აირჩიონ და მართონ მათი კურსები საკუთარი ანგარიშის საშუალებით. (<http://lms.tsu.ge> სტუდენტები იღებენ ინფორმაციას საკუთარი შეფასებების, სილაბუსების და სასწავლო პროცესის შესახებ. ამასთანავე, მათ აქვთ საკუთარი საუნივერსიტეტო ელექტრონული ფოსტის ანგარიში, რომლითაც ხელი მიუწვდებათ ონლაინ სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე.
- ნებისმიერი ინფორმაცია პროგრამის შესახებ ხელმისაწვდომია თსუ ვებ-გვერდში

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სრულყოფილი სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისები. - პროგრამის აღწერა და სილაბუსები ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებების ნიმუშები ○ https://www.tsu.ge/en/ თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული შეფასება:
☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ ნაშრომის კვალიფიციური ხელმძღვანელები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ სტუდენტები პრაქტიკულ განათლებას იღებენ სტაჟირების კრედიტ-კურსების არჩევით. სტაჟირების პროგრამაში ჩართულები არიან სხვადასხვა ქართული კომპანიები („საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, „გრასი“, სოციალური ზვიგენები“, აი-პი-ემი“IPM“). სტუდენტები კვალიფიციური პერსონალის ხელმძღვანელობის ქვეშ არიან (კონკრეტულად, კომპანიის ხელმძღვანელები). ხელმძღვანელები მზად არიან დაეხმარონ სტუდენტებს პრაქტიკული უნარების გამომუშავებაში და უხელმძღვანელონ სტაჟირების კრედიტ-კურსების დროს. ○ სტუდენტებს ხელმძღვანელობას უწევს კვალიფიციური აკადემიური პერსონალი შესაბამისი გამოცდილებით მოცემულ დარგში. ხელმძღვანელობის პროცესი და ხელმძღვანელების კვალიფიკაცია რეგულირდება სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესით. ○ სტუდენტები უკუკავშირს იღებენ პირადად და წერილობითი ფორმით. კურსის
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის ავტობიოგრაფია და დიპლომები. პროგრამის აღწერა და სილაბუსები. ○ აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების ნიმუშები. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესი. https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/samagistro%20dacvis%20wesi%202018%2
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	x			

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფენ პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსები

პროგრამის პერსონალი შედგება კვალიფიციური სპეციალისტებისაგან, რომლებიც ფლობენ სტუდენტების დასახმარებლად საჭირო ყველა იმ კომპეტენციას, რას აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის;

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის მდგრად წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;

პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილი არიან სათანადო

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 8 აკადემიური, 6 მოწვეული და 2 უცხოელი პერსონალი. ბალანსი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის - 50/50 მოწვეული მასწავლებლების ნაწილი უკვე წლებია თანამშრომლობს თსუ-სთან.
- აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია, გამოცდილება და მიღწევები შეფასდა წარმოდგენილი დოკუმენტაციისა (CV-ები, დიპლომები, პუბლიკაციების სია) და პირისპირ გასაუბრებების საფუძველზე. წარმოდგენილი მასალების ანალიზმა, ასევე ინტერვიუს დროს შეგროვებულმა ინფორმაციამ შესაძლებელი გახადა დასკვნის გაკეთება, რომ პერსონალის უმეტესობა, არა მხოლოდ თეორეტიკოსები, არამედ პრაქტიკოსები არიან და ახორციელებენ პირველად კვლევით საქმიანობას.
- მედიფსიქოლოგია სრულიად ახალი დისციპლინაა საქართველოში, ამიტომ ადგილობრივი სპეციალისტების მოძებნა ადვილი არ არის. ეს გამოწვევა წარმატებით გადაწყდა პროგრამაში უცხოელი ლექტორების ჩართულობით, რომელთაც გააჩნიათ სრულყოფილი CV-ი მედიის ფსიქოლოგიის სფეროში. მასწავლებელთა პერსონალის კვალიფიკაცია და სასწავლო და კვლევითი გამოცდილება სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნების განხორციელებას. პროგრამის განმახორციელებლებმა წარმოაჩინეს ინგლისურის ენის ცოდნის კარგი დონე გასაუბრებების დროს. ზოგი მათგანი ასევე ჩართულია დარგის სხვადასხვა პროექტში და, ამავე დროს, პოტენციური დამსაქმებლები არიან და ყველა მათგანს კარგი პირობები აქვს სასწავლო პროგრამის განსახორციელებლად.
- პროგრამის ხელმძღვანელს შესაბამისი კომპეტენცია აქვს პროგრამის წარმართვაში; გამოცდილება, რომელიც დადასტურებულია მისი რეზიუმეთი, გამოქვეყნებული ნაშრომებით, საერთაშორისო პროექტებში თანამშრომლობით და კონფერენციებში

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის აღწერა და სილაბუსები;
- პროგრამის ხელმძღვანელის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ები და დიპლომები

○ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სია საგნის / საგნების მიხედვით; ო აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგია. ○ პროგრამის გარე შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული შეფასება
X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
უსდ რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებისთვის თსუ-ს პოლიტიკის თანახმად, უნდა ჩატარდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ყოველწლიური შეფასება. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა პროგრამის ხელმძღვანელს უნდა წარუდგინოს ანგარიში შეფასების შედეგების შესახებ, ხელი შეუწყოს გადაწყვეტილების მიღებას ან შესაბამისად საქმიანობის განხორციელებას. შეფასება უნდა იყოს კონფიდენციალური და უნდა იცავდეს კურსდამთავრებულთა პირად სივრცეს..
- თსუ-ს შეუძლია უზრუნველყოს სამეცნიერო საქმიანობა (სემინარები, საჯარო ლექციები, კონფერენციები) აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის. ამ საქმიანობის ხარჯები შედის ფაკულტეტის ბიუჯეტში. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მედიაფსიქოლოგიის პროგრამის პერსონალი აქტიურად მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, ტრენინგებში, მივლინებებში, კვალიფიკაციის ამაღლების კურსებში, გაცვლით, საერთაშორისო ან / და ადგილობრივ პროექტებში, პროფესიული ან / და სწავლების უნარების განვითარების მიზნით.
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შეუძლია წვლილი შეიტანოს ფაკულტეტის აკადემიური ელექტრონული ჟურნალის მომზადებაში, მონაწილეობა მიიღონ

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სია საგნის / საგნების მიხედვით; ○ აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის CVები და დიპლომები. ○ პერსონალის ამოცანების განვითარების მიზნით ჩატარებული საქმიანობის მიმოხილვა ითსუ-ს ვებ – გვერდი: https://www.tsu.ge ისოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტის ვებ – გვერდი: https://www.tsu.ge/ge/faculties/social/news/
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული შეფასება
X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

4.3. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- o უნივერსიტეტს გააჩნია სათანადო ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა, სწავლისა და სწავლების ეფექტური პროცესის უზრუნველსაყოფად.
- o უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები გამოყენებული და ხელმისაწვდომი იქნება სამაგისტრო სტუდენტებისთვის შეზღუდვების გარეშე;
- o პროგრამა არის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ნაწილი, რომელიც სტუდენტებს სთავაზობს სასწავლო ინვენტარით აღჭურვილ აუდიტორიებს, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო ოთახებს; სტუდენტებთან ინდივიდუალური შეხვედრების ოთახებს; საკონფერენციო აუდიტორიებს; კომპიუტერულ რესურს-ცენტრს, სატელევიზიო სტუდიას, თსუ-ს მულტიმედიურ ცენტრს, ნიუსრუმს და სტუდიას, ხმის ჩამწერებს, ციფრულ კამერებს და ა.შ.
- o დაცულია სანიტარული და უსაფრთხოების ნორმები და ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა უზრუნველყოფილია აუდიტორიაში, დერეფნებში, კაბინეტებში, ასევე სარდაფებში, აბაზანებში, კიბეებზე, მიმდებარე შენობებში.
- o პროგრამის სტუდენტები გამოიყენებენ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზებს, რომლებიც განთავსებულია პირველ, მეორე, მესამე კორპუსებსა და მაღლივ აკადემიურ შენობებში. ბიბლიოთეკები აღჭურვილია კომპიუტერებითა და სხვა საჭირო ტექნიკით.

ოსუს სტუდენტებს აქვთ წვდომა უახლეს სამეცნიერო ლიტერატურაზე, ელექტრონულ ბაზებში განთავსებულ პუბლიკაციებზე (Elsevier SCOPUS, Elsevier ScienceDirect, EBSCOHost, JSTOR), რომლებიც აქტიურად გამოიყენება საშინაო დავალებების შესრულებისას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - o https://www.tsu.ge/ge/government/administration/departments/library/e_catalog/ 11. საბიბლიოთეკო რესურსები, კატალოგი, - o თსუ-ს ვებ – გვერდი https://www.tsu.ge - o საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ვებ – გვერდი: - o https://www.tsu.ge/ge/faculties/social/news/ - o თსუ-ს მულტიმედიის ცენტრი და მისი ვებ-გვერდი: - o www.multimedia.tsu.ge o დაწესებულების ინფრასტრუქტურის რეალური მდგომარეობა;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (ასე არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- o სამაგისტრო პროგრამას ფინანსურად მხარს უჭერს ფაკულტეტის ბიუჯეტი, რომელიც, იმავდროულად, ფინანსდება უნივერსიტეტის ბიუჯეტით.
- o ბიუჯეტი უზრუნველყოფს:
 - o აკადემიური პერსონალისა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული მოწვეული ლექტორების ანაზღაურებას; o პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ტექნიკური უზრუნველყოფა და შინაარსი.
 - o აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯები, წიგნების განახლების ხარჯები, საგამომცემლო ხარჯები და ა.შ.
- o ფაკულტეტის ბიუჯეტში, მოწვეული პროფესორებისთვის ხარჯები 20 000 ლარად არის შეფასებული (ბუნდოვნად არის აღწერილი, ეს ხარჯები ჰონორარისთვისაა თუ მოგზაურობისა და საცხოვრებლის ხარჯებია). პროგრამის

ბიუჯეტის თანახმად, საერთაშორისო მოწვეული პროფესორებისთვის ჰონორარის ხარჯები დათვლილია იგივე კურსით, რაც ადგილობრივ პერსონალისთვის (45 ლარი / საათში). ეს თანხა არ არის კონკურენტული საერთაშორისო დონეზე. პროგრამის ხელმძღვანელის სიტყვით, უცხოელი პროფესორები მონაწილეობენ პროგრამაში, მისი პირადი ურთიერთობების გამო და მოლაპარაკებების საფუძველზე. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პროგრამის ხელმძღვანელის მიმართ უნდობლობის საფუძველი არ გვაქვს, საერთაშორისო მოწვეული პროფესორებისთვის რესურსების გამოყოფის ნაკლებობა გვაფიქრებინებს, რომ ეს პროგრამის სუსტი საკითხია, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საერთაშორისო პროფესორების მოწვევის უწყობა და ნაკლებობა სპეციალური პროგრამის
მტკიცებულებები/ინდიკატორები - o თსუ და ფაკულტეტის ბიუჯეტი - o პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: o მომავალი წლის ბიუჯეტში უნდა გამოიყოს სახსრები კონკურენტული ანაზღაურებისთვის საერთაშორისო მოწვეული პროფესორებისთვის, პერსონალის სტაბილურობის შენარჩუნებისა და კვალიფიციური საერთაშორისო ექსპერტების უზრუნველყოფის მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული შეფასება: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსები	x			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მომსახურებებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და პროგრამის განხილვას. შესაბამისი მონაცემები გროვდება, ანალიზდება და რეგულარულად გამოიყენება ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად და პროგრამის შესაძლებლობებთან.

5.1 შიდა ხარისხი

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების შედეგების ანალიზში. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და
ანალიზი

- o სასწავლო გეგმაში (კურიკულუმში) წარმოდგენილი სამაგისტრო ხარისხის პროგრამა ასახავს "დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე" პრინციპს, რომელიც ემყარება სწავლების თანამედროვე სტანდარტებსა და პროცედურებს და ინტეგრირებულია თსუ-ს სასწავლო გეგმების ხარისხობრივ შეფასებაში.
- o პროგრამის შემუშავების პროცესში მონაწილეობდნენ: აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი, ფაკულტეტის ადმინისტრაცია, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტები, დარგის სპეციალისტები, დამსაქმებლები და სტუდენტები (მიმართულებების კომიტეტი და თვითშეფასების ჯგუფი). სხვადასხვა დარგის 10-მა ექსპერტმა, როგორიცაა მედია ფსიქოლოგია, კომუნიკაციები, მედია კვლევები და განათლება (აშშ – დან, გერმანიიდან, ავსტრიიდან, უკრაინიდან, კანადიდან და ა.შ.), არა ერთხელ შეიტანეს წვლილი პროგრამის კორექტირებაში 2018 წელს. 2019 წელს, გერმანიიდან დამატებითი გარე შეფასება განხორციელდა მედია ფსიქოლოგიის, პროფესორ მარკუს აპელის მიერ DW Akademie- ს ფინანსური მხარდაჭერით.
- o ამ პროგრამის განვითარების პროცესი და აღწერა ეფუძნება 2017-2018 წლებში ჩატარებული ყველა კვლევის ანალიზს სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. ასევე, საერთაშორისო ექსპერტები ჩართულები იყვნენ პროგრამის შემუშავების ყველა ეტაპზე (2017-2019).
- o პროგრამის შეფასება ჩატარდა თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, დარგობრივი კომიტეტების, დამსაქმებლებისა და სტუდენტების დებულებების შესაბამისად. შეფასება ხორციელდება შემუშავებული და დამტკიცებული ფორმებისა და კრიტერიუმების თანახმად. სილაბუსის შეფასება ხორციელდება შემუშავებული და დამტკიცებული ფორმებისა და კრიტერიუმების თანახმად.
- o პროგრამა დამტკიცებულ იქნა თსუ-ს სტანდარტული პროცედურით, რომლის თანახმად: o პროგრამის შეფასება ხორციელდება მიმართულების კომიტეტის მიერ.
 - o პროგრამა დამტკიცებულია ფაკულტეტის საბჭოში. პროგრამა შეიცავს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნებს მათი წარდგენის დადგენილი ფორმის მიხედვით..
 - o პროგრამა წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს.
- o თსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასება განხორციელდა პირდაპირი და არაპირდაპირი ინდიკატორების გამოყენებით, მათი შედარების საფუძველზე,
- o თსუ-მ ასევე შეიმუშავა პროგრამის განხილვის პროცედურები, რომლის თანახმად,

მტკიცებულებები/ინდიკატორები - o თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №153 / 2017 (2017 წლის 8 დეკემბერი) და მასში შეტანილი ცვლილებები; - o თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება, დადგენილება N113 / 2017 o საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასების მექანიზმები (დანართი 17) - o თვითშეფასების ანგარიში; ადგილზე ვიზიტი;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება:

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის უზრუნველყოფის შეთავაზებს

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამის გარე შეფასება განხორციელდა მედიის განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციის "Deutsche Welle Akademie" მხარდაჭერით. პროგრამა შეაფასა ვიურზბურგის უნივერსიტეტის (გერმანია) პროფესორმა, მარკუს აპელმა, მედია ფსიქოლოგიის ექსპერტმა. პროგრამის დოკუმენტები შეიცავს კიდევ ერთ ხელმოუწერელ გარე შეფასებას, რომელიც შესრულებულია უნივერსიტეტის სატიტულო ფურცელზე. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, "მეორე გარე შეფასება მომზადდა დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ, რომელიც შეარჩია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა (2019 წ.). ასეთი შეფასება პირველად ჩატარდა პროგრამის სიახლის გამო. " ინტერვიუების დროს შეგროვებულმა ინფორმაციამ გამოავლინა, რომ ზემოთ აღნიშნული შეფასება ერთობლივად შეიმუშავა თსუ-ს სხვა ფაკულტეტმა და უნივერსიტეტის თსუ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა. ჩვენ ვეთანხმებით, რომ სხვადასხვა ფაკულტეტის მიერ ჩატარებული შიდა შეფასების განცხადება შეიძლება იყოს სასარგებლო ინსტრუმენტი შედეგიანი პროგრამის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მაგრამ ამავე დროს, ამ შეფასებისას არსებობს რამდენიმე სუსტი წერტილი, რომელზეც გვინდა გავამახვილოთ ყურადღება:
- გარე შეფასების ერთ-ერთი მთავარი მნიშვნელობას წარმოადგენს ის, რომ იგი უნდა მომზადდეს მეტად კომპეტენტური პირის / დაწესებულების მიერ. ამ შეფასების ავტორი / ების ვინაობა კონფიდენციალურია, აკრედიტაციის

მტკიცებულებები/ინდიკატორები

იკითხვარები

იმპლემენტაციის

○ პარტნიორი უნივერსიტეტები და საერთაშორისო ქსელები ○ კვლევისა და პედაგოგების გაცვლითი ხელშეკრულებები და ერთობლივი ხელმძღვანელობის მემორანდუმები ○ საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასების მექანიზმები (ხარისხის კონტროლის დოკუმენტაცია) ო საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და განხორციელების ინდიკატორები ○ თვითშეფასების
რეკომენდაციები: ○ პროგრამის გარე შეფასება უნდა განახორციელოს დამოუკიდებელმა ორგანომ, თსუ-ს გარეთ, დასკვნების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პერიოდულ მონიტორინგს და შეფასებას ახორციელებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მონაწილეები არიან: სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელიც მონაწილეობს პროგრამის განხორციელებაში, პოტენციური დამსაქმებლები, ფაკულტეტის კურსდამთავრებულები და სხვა;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად პროგრამის შეფასების და ხარისხის გაუმჯობესებას ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი და თვითშეფასების ჯგუფი; დაგეგმილია, რომ ფაკულტეტის დარგობრივი კომიტეტის (2019-2020) შემადგენლობაში შევა საერთაშორისო ექსპერტი (მედია ფსიქოლოგი).
- პროგრამის დაწყების პროცედურების დაცვის მიზნით, გარე ექსპერტი შეირჩა გარე შეფასების განსახორციელებლად: პროფესორი ანჟელიკი გაზი, კვიპროსის

ევროპის კომუნიკაციური კვლევებისა და განათლების ასოციაციის (ევროპული კომუნიკაციური კვლევებისა და განათლების ასოციაცია, ECREA) წევრი. ○ პროგრამის მონიტორინგი ასევე განხორციელდება დამსაქმებელთა უკუკავშირის საშუალებით მათი სტაჟირების და პროგრამის კურსდამთავრებულთა მიღწევების შესახებ.
○ თსუ-მ ურთიერთგაგების მიმორანტოები ააფორმა სამაგისტრო პროგრამის მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კითხვარები ○ - მემორანდუმები ○ ○ პარტნიორი უნივერსიტეტები და საერთაშორისო ქსელები ○ კვლევისა და პედაგოგების გაცვლითი ხელშეკრულებები და ერთობლივი ხელმძღვანელობის მემორანდუმები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ პროგრამის შეფასების მექანიზმი უნდა იყოს ნათელი და გამჭვირვალე და
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): ○ გათვალისწინებულია საერთაშორისო აღიარებული სტანდარტები და პროცედურები, ასევე შიდა საუნივერსიტეტო შეფასების წესები და
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული შეფასება
X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობა აშია მოთხოვნებ	მეტწილად შესაბამისობა აშია	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განმარტების	x			

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	x			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შედეგების	x			
3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მომზადება	x			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	x			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	x			

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე



დევიდ დუენას-სიდი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

3. პაიჭ

ვლადიმერ მკერვალიშვილი

ლია სანიკიძე

თინათინ გვაძაბია